

განახლება: კავკასიის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს  
2020 წლის 30 ოქტომბერი,  
დადგენილება N08

კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების,  
აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი  
ხელშეკრულებების კლასიფიკაციისა და დატვირთვის წესის  
დამტკიცების შესახებ

## შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	3
მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმება და ანაზღაურება.....	4
მუხლი 4. შრომითი ხელშეკრულებების სახეები.....	5
მუხლი 5. აფილირებული აკადემიური პერსონალის A ტიპის ხელშეკრულებები.....	5
მუხლი 6. B ტიპის ხელშეკრულება.....	7
მუხლი 7. C ტიპის ხელშეკრულება.....	7
მუხლი 8. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის გამოთვლის წესი.....	7
მუხლი 9. გარდამავალი დებულებები.....	9

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

### 1. ეს დებულება განსაზღვრავს:

- ა) კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესს;
  - ბ) აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების კლასიფიკაციის ერთიან მიდგომას;
  - გ) აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი, აკადემიური, საკონსულტაციო/ადმინისტრაციული საქმიანობის სახეებს, მათ წილს საერთო სამუშაო დატვირთვისთან მიმართებაში და სრულ/არასრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის მინიმალურ საუნივერსიტეტო დატვირთვისა და თანაფარდობას ამ სამი ტიპის აქტივობას შორის.
  - დ) არააფილირებული და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესს.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სხვა პირობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული A1, A2, A3, A4a ან A4b ტიპის ხელშეკრულებით/ხელშეკრულების დანართით.
3. არააფილირებული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სხვა პირობები განისაზღვრება არააფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული B ტიპის ხელშეკრულებით.
4. მოწვეულ პერსონალის უფლება-მოვალეობები, მათი საათობრივი დატვირთვა და შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის სხვა პირობები განისაზღვრება მოწვეულ პერსონალსა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის დადებული C1 ან C2 ტიპის ხელშეკრულებით.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) აკადემიური პერსონალი - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის წესით შერჩეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი, რომელიც აფილირებულია/არ არის აფილირებული კავკასიის უნივერსიტეტთან, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულია სრულ/არასრულ განაკვეთზე და მონაწილეობს/წარმართავს კვლევით, აკადემიურ, საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ პროცესს.

ბ) აკადემიური საქმიანობა - უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სწავლების პროცესში;

გ) პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

დ) ასოცირებული პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

ე) ასისტენტ-პროფესორი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

ვ) ასისტენტი - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, რომელიც პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

ზ) აფილირება - უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან;

თ) კვლევითი საქმიანობა - ფუნდამენტური, გამოყენებითი და პედაგოგიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესრულება;

ი) მოწვეული პერსონალი - აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ სამუშაოებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

კ) საკონსულტაციო / ადმინისტრაციული საქმიანობა - უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სწავლების პროცესში კონსულტირების/ადმინისტრირების გზით.

### **მუხლი 3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დასაქმება და ანაზღაურება**

1. უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის კონკურსის წესის ჩატარების შესახებ“ დებულების შესაბამისად. არჩეული აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება აკადემიურ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, რომელთა კლასიფიკაცია განსაზღვრულია წინამდებარე წესით.

2. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პირობები განისაზღვრება მათთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

#### **მუხლი 4. შრომითი ხელშეკრულებების სახეები**

1. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, რომელიც სამუშაო დატვირთვის, უნივერსიტეტთან აფილირების ან/და შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით შეიძლება დაიყოს შემდეგ სახეებად (იხილეთ დანართი 3):
  - ა) A ტიპის ხელშეკრულება - ფორმდება კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, რომელიც აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან;
  - ბ) B ტიპის ხელშეკრულება - ფორმდება კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან, რომელიც არ არის აფილირებული კავკასიის უნივერსიტეტთან;
  - გ) C ტიპის ხელშეკრულება - ფორმდება მოწვეულ პერსონალთან.

#### **მუხლი 5. აფილირებული აკადემიური პერსონალის A ტიპის ხელშეკრულებები**

1. აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების თაობაზე, სკოლის დეკანი უზამდგომლობით მიმართავს უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი მასთან გაფორმებული A ტიპის ხელშეკრულების საფუძველზე:
  - ა) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
  - ბ) დაკავებული აკადემიური თანამდებობის მიხედვით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება კავკასიის უნივერსიტეტს;
  - გ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
  - დ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.
3. აფილირების შეთანხმების ვადა განისაზღვრება შესაბამისი აკადემიური პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით.
4. აფილირების შეთანხმების ვადის გაგრძელება შესაძლებელია აკადემიურ თანამდებობაზე ხელახლა არჩევის შემთხვევაში, კავკასიის უნივერსიტეტისა და შესაბამისი აკადემიური პერსონალის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

5. A1 ტიპის შრომითი ხელშეკრულება - სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან, არ არის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში „უსდ-ს“) ან ორგანიზაციის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი, არ შეუძლია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოწვეული ლექტორის სახით განახორციელოს სასწავლო კურსის წაკითხვა, არ შეუძლია იყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის ხელმძღვანელი. დასაქმებული უფლებამოსილია სხვა ინსტიტუციისთვის შეასრულოს მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურეობა, რაც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ინტერესებს;
6. A2 ტიპის შრომითი ხელშეკრულება - სრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც უკავია ასევე ადმინისტრაციული თანამდებობა და აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან, არ არის სხვა უსდ-ს ან ორგანიზაციის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი, მას ასევე, არ შეუძლია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოწვეული ლექტორის სახით განახორციელოს სასწავლო კურსის წაკითხვა. მას შეუძლია სხვა ინსტიტუციისთვის შეასრულოს მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურეობა, რაც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ინტერესებს;
7. A3 ტიპის შრომითი ხელშეკრულება - არასრულ განაკვეთზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან. თუ დასაქმებული არ არის კავკასიის უნივერსიტეტის რომელიმე პროგრამის ხელმძღვანელი, მას შეუძლია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეკავოს აკადემიური თანამდებობა და ორგანიზაციაში იკავებდეს ადმინისტრაციულ პოზიციას (გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა). ხოლო, თუ დასაქმებული არის კავკასიის უნივერსიტეტის რომელიმე პროგრამის ხელმძღვანელი, მას არ შეუძლია იყოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის ხელმძღვანელი და არ შეუძლია სხვა უსდ-ში იკავებდეს ადმინისტრაციულ თანამდებობას.
8. A4a ტიპის შრომითი ხელშეკრულება - აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან, ჩართულია აკადემიურ, კვლევით, საკონსულტაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში, შეუძლია იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ორგანიზაციის აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი;
9. A4b ტიპის შრომითი ხელშეკრულება - აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან, ჩართულია აკადემიურ, კვლევით, საკონსულტაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში, შეუძლია იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან ორგანიზაციის

აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი. A4a სახის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალისგან განსხვავებით, A4b სახის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალი იღებს მხოლოდ აქტივობაზე დაფუძნებულ ხელფასს.

#### **მუხლი 6. B ტიპის ხელშეკრულება**

1. B ტიპის შრომითი ხელშეკრულება - აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც არ არის აფილირებული კავკასიის უნივერსიტეტთან, ჩართულია აკადემიურ, კვლევით, საკონსულტაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ასევე, დასაქმებულია სხვა უნივერსიტეტში/ორგანიზაციაში.

#### **მუხლი 7. C ტიპის ხელშეკრულება**

1. C1 ტიპის შრომითი ხელშეკრულება - მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ჩართულია აკადემიურ, კვლევით, საკონსულტაციო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში საათობრივი დატვირთვის საფუძველზე, მაგრამ არ უკავია აკადემიური თანამდებობა;
2. C2 ტიპის შრომითი ხელშეკრულება - მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, რომელიც უნივერსიტეტთან თანამშრომლობს საათობრივი დატვირთვის საფუძველზე.

#### **მუხლი 8. კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვის გამოთვლის წესი**

1. A1 ტიპის ხელშეკრულებით აყვანილი კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წლიური სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება 1840 საათით (40 საათიანი სამუშაო კვირის პირობებში, შრომის კოდექსის შესაბამისად შვებულების, დასვენებისა და უქმე დღეების გათვალისწინებით). ამ ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული ვალდებულია კვირაში მინიმუმ 40 საათის სამუშაო შეასრულოს უშუალოდ კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსში.
2. A3 ტიპის ხელშეკრულებით აყვანილი კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის არასრული წლიური სამუშაო დატვირთვა განისაზღვრება არანაკლებ 920 საათით (შრომის კოდექსის შესაბამისად, შვებულების, დასვენებისა და უქმე დღეების გათვალისწინებით). ამ ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული ვალდებულია სალექციო საათების გარდა, თვეში მინიმუმ 20 საათის სამუშაო შეასრულოს კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსში (თუ ის არ არის კავკასიის უნივერსიტეტის რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი). ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებული არის კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელი, იგი ვალდებულია სალექციო

საათების გარდა, თვეში მინიმუმ 32 საათის სამუშაო შეასრულოს კავკასიის უნივერსიტეტის კამპუსში.

3. A1 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საათების რაოდენობის 55%-ის დატვირთვას ადგენს უნივერსიტეტი. დატვირთვის გადანაწილება აკადემიურ, კვლევით და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ აქტივობებს შორის განსაზღვრულია წინამდებარე წესის დანართი N1-ით. ხოლო კვლევითი, აკადემიური და საკონსულტაციო/ადმინისტრაციული აქტივობების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია ამ დებულების დანართი N2-ით.
4. A1 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საათების რაოდენობის დარჩენილ 45%-ს კვლევით, აკადემიურ და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ აქტივობებს შორის ანაწილებს სკოლის ადმინისტრაცია.
5. A3 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საათების რაოდენობის 55%-ის დატვირთვას ადგენს უნივერსიტეტი. დატვირთვის გადანაწილება აკადემიურ, კვლევით და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ აქტივობებს შორის განსაზღვრულია ამ დებულების დანართი 1-ით. ხოლო კვლევითი, აკადემიური და საკონსულტაციო/ადმინისტრაციული აქტივობების ჩამონათვალი და მათ შესასრულებლად საჭირო საათობრივი დატვირთვა განსაზღვრულია ამ დებულების დანართი N2-ით.
6. A3 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალისთვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საათების რაოდენობის დარჩენილ 45%-ს კვლევით, აკადემიურ და საკონსულტაციო/ადმინისტრაციულ აქტივობებს შორის ანაწილებს სკოლის ადმინისტრაცია.
7. A2 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა კავკასიის უნივერსიტეტში შეადგენს არაუმეტეს 15 საათს.
8. A4a, A4b, B, C1 და C2 ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა კავკასიის უნივერსიტეტში შეადგენს არაუმეტეს 18 საათს.
9. A2, A4a, A4b, B, C1 და C2 ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საკონსულტაციო საათი ერთ სასწავლო კურსზე არის არანაკლებ 5 საათი.
10. A4a, A4b, B, C1 და C2 ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის დროს, კავკასიის უნივერსიტეტი



ითვალისწინებს მის სალექციო საათობრივ დატვირთვას ყველა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მისი ზღვრული სალექციო საათობრივი დატვირთვა ყველა უსდ-ში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 30 საათს.

11. წინამდებარე წესით განსაზღვრული ზღვრული დატვირთვის დაანგარიშებისათვის, A4a, A4b, B, C1 ან C2 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტში არსებულ პერსონალის მართვის ელექტრონულ სისტემაში უნდა შეავსოს ინფორმაცია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სალექციო დატვირთვის შესახებ.
12. A4a, A4b, B, C1 ან C2 ტიპის ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ყველა უსდ-ში ზღვრული დატვირთვის მაქსიმალური, 30 საათის გადაჭარბების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია მომდევნო სემესტრში მას შეუმციროს კვირეული აკადემიური დატვირთვა.
13. ზემოთ მოყვანილი ზღვრული დატვირთვის ნიშნულებისგან განსხვავებული შეიძლება დადგინდეს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებთან მიმართებით, უნივერსიტეტის პრეზიდენტთან შეთანხმებით.

## **მუხლი 9. გარდამავალი დებულებები**

1. სრულ განაკვეთზე დასაქმებულ აკადემიურ პერსონალს, რომელსაც კავკასიის უნივერსიტეტში უკავია ასევე ადმინისტრაციული თანამდებობა (რომელთანაც წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე უკვე გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება) და აფილირებულია კავკასიის უნივერსიტეტთან, გამონაკლისის სახით, არ ეხება სხვა უსდ-ში აკადემიურ საქმიანობაზე A2 ტიპის კონტრაქტით დადგენილი შეზღუდვა;
2. იმ შემთხვევაში, თუ A1 და A3 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული აკადემიური პერსონალის სალექციო საქმიანობა მოიცავს ზოგადსაუნივერსიტეტო (სავალდებულო) საგნების სწავლებას, სემესტრული სამუშაო დატვირთვის დათვლა ხდება არაუმეტეს 30 საკონტაქტო საათის მიხედვით;
3. ერთი აკადემიური პერსონალი არ შეიძლება დაინიშნოს ორზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად; თუ ერთი აკადემიური პერსონალი დაინიშნება ორი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად, მისი საათობრივი დატვირთვა ამ საქმიანობისთვის იქნება პროგრამის ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილი საათობრივი დატვირთვის ნამრავლი 1.3. კოეფიციენტზე.

## **დანართი 1 - ცალკე ფაილად არის ატვირთული**

დანართი 2 - ცალკე ფაილად არის ატვირთული

ხელშეკრულება	CU-ს აკადემიური პერსონალი	CU-სთან აფილირებული	CU-ში ფიქსირებული ანაზღაურება	CU-ში სრული სამუშაო განაკვეთი	მუშაობა სხვა უნივერსიტეტში	მუშაობა სხვა დაწესებულებაში ადმინისტრაციულ პოზიციაზე
A1	+	+	+	+	-	-
A2	+	+	+	+	-	-
A3	+	+	+	-	<p>+ / სწავლება</p> <p>არ შეუძლია სხვა უსდ-ში ადმინისტრაციულ პოზიციაზე ყოფნა.</p> <p>თუ დასაქმებული არის უნივერსიტეტში პროგრამის ხელმძღვანელი, მას არ შეუძლია სხვა უსდ-ში იკავებდეს ადმინისტრაციულ თანამდებობას უნივერსიტეტში იყოს ასევე პროგრამის ხელმძღვანელი</p>	<p>+/-</p> <p>თუ პროგრამის ხელმძღვანელი არ შეუძლია სხვა უსდ-ში იკავებდეს ადმინისტრაციულ თანამდებობას</p>
A4 - a / b	+	+	+ / -	-	+	+
B	+	-	-	-	+	+
C1	-	-	-	-	+	+
C2	-	-	-	-	+	+

დანართი 3. - შრომითი ხელშეკრულების სახეები